სკოლის სასწავლო სივრცე ზედმინეებით სწორადაა ორგანიზებული. ფერისა და მასალის ჰარმონიაში, ოსტატურადაა მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, კონკრეტული სათავსოს საერთო ხასიათის შესაბამისად, გემოვნებითაა შერჩეული ფურნიტურა და აქსესუარები. უზადო დიზაინი, ერთიანი იდეითა და თემით გამთლიანებულ ინტერიერულ სახეს ქმნის, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი. ინტერიერი თვითმყოფადია - დახვეწილი, ზომიერი დეკორით გამოირჩევა და აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკისაა. სხვადასხვა დანიშნულების და დიზაინერული თვალსაზრისით თვითმყოფადი, დამოუკიდებელი მონაკვეთები არსებული მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს. ორიგინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს.



SCHOOL BUILDING RECONSTRUCTION

Location: 13/G Goloseevskaya st. , Kiev

Total area: 8000 m²

Date – 2017-2018

Izobud Company: General Project Designer

Ivan Razgulin - Head of Project Group of Izobud Compan



Over a comparatively short period of time, Izobud Company managed to realize their ideas and creative concepts in a number of residential and public objects. Almost all of their projects are successful. Far from engaging into a detailed review of their specifics and conceptions, we would like to present to your attention object of reconstructed school which was created by this company's professionals in Kiev (Gradually you will get acquainted with other projects of Izobud Company . For more details about the company see: www.izobud.ua).


In the exterior of volume of reconstructed school, minimalism and simplicity are key principles integrating the space.

Architectonics of this building represents a mixture of unexpected and pleasant dissonances. Its chief

property is the philosophy of being, i. e. individuality and peace, saturating each detail.

The Study space for school is organized with utmost precision. The harmony of colors and design materials, a skillfully planned lighting system, stylistically and functionally relevant furniture, decorative articles and accessories... Flawless design forms a conceptually integrated space, all the components of which are carefully considered.

Original interior we are describing here boasts a moderate but refined decor and stylistics. Various zones, differing by function and design, merge to form an integral, comfortable space. Original atmosphere highlights the diversity of objects and manifests careful attention of design authors to every detail, which is a true declaration of their professionalism.



CLASSIC AND MODERN.

TWO EPOCHS IN THE INTERIOR OF KIEV APARTMENTS



Architects: YoDezeen

Team: Artem Zverev, Artur Sharf,
Irina Babich, Anna Tarabanova,
Denis Tereshyn, Anton Biytsev

Project: Diamond apartment

Location: Kiev, Ukraine


Photography: Andrii Shurpenkov

Area: 320, 4 m²

Year: 2017

Contact e-mail: pr@yodezeen.com

Web-site: yodezeen.com









In one of Kiev's Luxury Apartments Complex Diamond Hill, the architectural and interior design studio YoDezeen masterfully employ a tasteful palette, design furniture and stunning contemporary artworks to compose a bespoke high-end design.

The apartment differs with expressive individual style, which organically connects modernity and tradition, innovative ideas and classical methods.

It seems, that luxury and functionality are mutually exclusive, but precisely this combination was desired by YoDezeen customers. A young family with two children bought apartments of 320 sq. meters in residential estate Diamond Hill on Dnipro banks. „We got an empty space: there were no divisions, just a couple of supporting columns, - told architects. – On the one hand, freedom makes work easier: exercise



your talent! On the other hand, you haven't got the right to make a mistake, you cannot justify the air drain or overhang pyller on your way". Authors got more freedom here in complement. „It happens, when customers are overly familiar with the process, coordinate each subject. But that was not the case: „I like, what you've designed, - told a housekeeper. – Make it fancy!" So, we were fully in charge of furniture,



decoration, textiles, shades matching“.

As breathtaking views came to light out of windows, the most important thing was to get the most out of it. One of the project’s authors reflected on such an episode: „We did a layout, all things were eye-filling lined up. But when we came, before the building had started, on site, I imaginatively lied abed in one of the children’s room. And got, that the view herefrom was not the best. It was worthy to invert the bed to another wall and the matter shaped up. These significant details can be felt keenly only alive, on site“. Object status was underlined effectively with furniture and equipment of

brands with unblemished reputation: Minotti, B&B Italia, Poliform, Rimadesio – a budget permitted to make a deserving choice. The same aim had here gorgeous natural materials. Uncommonly architects managed to connect the history of our times, arrange, as project architect Iryna Babych says, time rendezvous. Gypsum modeled panels are in harmony with brass and concrete. „Firstly, we planned to leave supporting columns in original naked concrete, though material looked unaesthetic. For that reason we resorted to the decorative plaster, and made suffer in a large measure for master builders: we were gaining for timbering effect“.

Marble completes the palette of expensive textures; the four sanitary facilities are generously finished with marble. „Master builders word to word was filling us with photos of samples from mines, we were handling a huge amount of stone sorts. In owner’s bathroom marble is installed even on the ceiling. „We were convinced, that it is unreal: what about airing, recessed lighting fittings? But we made as it had been planned. In the XXI century nothing is impossible“.

Manufactures: Poliform – kitchen; hall; Minotti – living room, B&B Italia – master bedroom

Finishes: wood, steel, concrete





მესტიის მუნიციპალიტეტმა საბთო-სათხილამურო კურორტ „თეთნულდზე“ 41-ე საერთაშორისო შეჯიბრ-სემინარს უმასპინძლა

26 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით მესტიის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა 41-ე საერთაშორისო შეჯიბრ-სემინარს, რომელიც საქართველოს არქიტექტორთა კავშირისა და მასთან არსებული მოთხილამურე არქიტექტორთა საერთაშორისო კლუბ „SKIA“-ს ორგანიზებით ჩატარდა. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ შეჯიბრის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყო. მოთხილამურე არქიტექტორთა სპორტული შეჯიბრი და არქიტექტურული კონკურსი გაიმართა სამთო-სათხილამურო კურორტ „თეთნულდზე“.

შეჯიბრ-სემინარის ფარგლებში მოეწყო არქიტექტურული პროექტების გამოფენა, შემდეგი თემატიკის მიხედვით:

1. ინდივიდუალური საცხოვრებელი კოტეჯი მთიან რეგიონში;
 2. ოჯახური ტიპის სასტუმრო სახლი მთიან რეგიონში;
 3. სათემო საზოგადოებრივი ცენტრი მთიან რეგიონში;
- გამოფენაზე წარმოდგენილი პროექტები, წინასწარ განსაზღვ-

რული კრიტერიუმების მიხედვით შეაფასა ჟიურიმ შემდეგი შემადგენლობით: 1. გიორგი ჭკუასელი - არქიტექტორი, არქიტექტორთა კავშირის წევრი; 2. დათო ახვლედიანი - არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი; 3. ნათელა ჯობაძე - არქიტექტორი, არქიტექტორთა კავშირის წევრი; 4. ნიკოლოზ აბაშიძე - არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; 5. ვახტანგ მიქელაძე - არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი; 6. გოჩა მიქიაშვილი - არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი; 7. კაპიტონ ჟორჟოლიანი - მესტიის მუნიციპალიტეტის მერი 8. ზაურ ჩართოლანი - მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე 9. გელა ჯაფარიძე - არქიტექტორი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა. (ა). ი. პ. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის“ დირექტორი.

გამარჯვებული პროექტი გა-

მოვლინდა 2 მარტს. დაჯილდოება გაიმართა კურორტ თეთნულდის მთაზე.

საპროექტო ტერიტორია, საკონკურსო შენობის განსათავსებლად კონკურსის პირობებიდან გამომდინარე იყო ზოგადი, მაგრამ პროექტი აუცილებლად გათვლილი უნდა ყოფილიყო სვანეთის უნიკალური და მკაცრი პირობებისათვის, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მრავალსაუკუნოვან მდიდარ არქიტექტურულ მემკვიდრეობა, რომლის წარმოჩენასაც კონკურსში მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს.

სამთო მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი „SKIA“ 1977 წელს დაარსდა. კლუბი პროფესიული საქმიანობის პარალელურად ყოველწლიურად უზრუნველყოფს შემოქმედ ადამიანთა აქტიურ ჩართულობას დასვენებასა და სპორტში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მესტიის მუნიციპალიტეტში მსგავსი ღონისძიება პირველად ჩატარდა.



არქიტექტურული კონკურსის სამ ნომინაციაში წარმოდგენილი იყო 19 ნამუშევარი:
 2- სათემო საზოგადოებრივო ცენტრი.
 11- ოჯახური ტიპის სასტუმრო სახლი.
 6 - ინდივიდუალური საცხოვრებელი კოტეჯი.
 ოჯახური ტიპის სასტუმროების პროექტებში დაჯილდოვდნენ:

1723269 - არქიტექტორი ომარ მხეიძე. (სტუ - 2009 წ. მაგისტრი)



2205081 - ირაკლი ქადიშვილი, ანი ბოკლავეძე (თსსა - ბაკალავრები - დამომონებული მერაბ გამყრელიძე).



1981994 - ვლადიმერ გვეტაძე (სტუ-2019 წ. მაგისტრი)



9594481 - თამარა ხუციშვილი (თსსა 2017 წ. ბაკალავრი, დამომონებული მ. გამყრელიძე).



2204199 - ბექა ჭილაშვილი, მარიამ გელაძე (სსუ 2018-17 წს მაგისტრები).



9302187 - ალექსანდრე ჩიკვაძე (სტუ 2015 ბაკალავრი, დამონბე-ლი არჩილ მაჭუტაძე).



სამთო-სათხილამურო შეჯიბრის 7 ასაკობრივ კატეგორიაში 21 გამარჯვებული გამოვლინდა:

სტუდენტები - ვაჟები: I ადგილი - მურმან მარგინანი; II ადგილი - თორნიკე დუნდუა; III ადგილი - ნიკოლოზ კალანდარიშვილი.

სტუდენტები - გოგონები: I ადგილი - მარიამ ფალიანი; II ადგილი - თინათინ ჭონქაძე; III ადგილი - ელენე შელია.

ქალები - 40 წ. : I ადგილი - ირინა ჯაფარიძე; II ადგილი - ელენე ჩხეიძე; III ადგილი - ანა პაპიაშვილი.

ქალები +40 წ. : I ადგილი - ნატო დონაძე; II ადგი-

ლი - ნატაშა ქვარცხავა; III ადგილი - ლელა შანიძე.

მამაკაცები - 40 წ. : I ადგილი - გია ჭირაქაძე; II ადგილი - ლუკა ჩხაიძე; III ადგილი - ირაკლი ჩოჩია.

მამაკაცები +40 წ. : I ადგილი - მარტინ იანი; II ადგილი - ირაკლი მასხულია; III ადგილი - გაგა კიკნაძე.

მამაკაცები +60 წ. : I ადგილი - გია ბახსოლიანი; II ადგილი - ნიკოლოზ აბაშიძე; III ადგილი - კახა ჩოჩია.

SKIA2019 -ის მხარდამჭერები მრავალთა შორის იყვნენ: ჟურნალი „სტილი“ და საქართველოს უნივერსიტეტი. ვუსურვებთ SKIA2019 - ის მესვეურებსა და მონაწილეებს - კვლავ წარმატებებს!!!





სტუდენტური კონკურსი

კომპანია „ეუროფასადი“ ვითარდება და მალე თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე ახალი ოფისითა და შოურუმით წარდგება მომხმარებლის წინაშე.

პროექტის განხორციელებისას კომპანიამ შენობის პროექტირებაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები ჩართო. ამ ინიციატივის მიზანია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

კომპანია „ეუროფასადმა“ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო პროექტის გამოსავლენად და შესაბამისად დაანესდა პრიზები:

პირველ ადგილი - 1500 ლარი

მეორე ადგილი - 1000 ლარი

მესამე ადგილი - 500 ლარი

მეოთხე ადგილი - 500 ლარი - კონკურსის ორგანიზატორის სპეციალური პრიზი.

გათვალისწინებული იქნა, ასევე სპეციალური პრიზი პროექტისთვის, რომელმაც „ფბ“ ვებ-გვერდზე ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა.

კონკურსზე წარდგენილი პროექტები შეაფასა ჟიურიმ შემდეგი შემადგენლობით:

ბესიკ საბაშვილი - კომპანია „ეუროფასადის“ დირექტორი - ჟიურის თავმჯდომარე;



ნინო იმნაძე - სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, არქიტექტორი;

ვასილ ქობულაია - სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ლექტორი, არქიტექტორი;

ანდრეი სლაძევსკი - კომპანია „ეუროფასადის“ ტექნიკური დირექტორი;

შაქრი ქურდიანი - თსსა პროფესორი, არქიტექტორი

ნოდარ ამაშუკელი - თსსა პროფესორი, არქიტექტორი

გიორგი ჩხაიძე - თსსა პროფესორი, არქიტექტორი

ია კუპატაძე - ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

კონკურსის ფიურის მიერ გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ 2019 წლის 23 მაისს.

სულ შემოვიდა 9 პროექტი და მათ შორის შეირჩა ოთხო საუკეთესო:



*1 ადგილი -
მარიამ ღვინეფაძე,
ანა ნაცვლიშვილი,
ნუცა კიკნაველიძე*


საინჟინრო-სტრუქტურული უნივერსიტეტი
მარიამ ღვინეფაძე mariam.gvin@gmail.com
ანა ნაცვლიშვილი amanats@yahoo.com
ნუცა კიკნაველიძე nuca.kiknavidze@gmail.com



euro



euro



euro

euro

euro



*II ადგილი - თეო გეგეშიძე,
თინათინ ჯანიაშვილი,
ნიკა კალანდარიშვილი, თორნიკე ღუნდუა.*

euro





III ადგილი - ზაალ სიფრაშვილი, ნიკა ნიქაბაძე

მეოთხე და სპეციალური ნომინაცია: გიორგი (გეგი) ევსია, ტატა ზაქარაია



და ისევ ფიროსმანი...



მეც და თქვენც ალბათ ბევრი გვსმენია ნიკო ფიროსმანის შემოქმედების შესახებ. ბევრჯერ შეგვივლია თვალი მისი ნახატებისთვის. რამდენი რამ, თქმულა ან დაწერილა მისი ნიჭიერებასა და თვითნაბადობაზე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოფენილა, ბევრი ადამიანისსიყვარული და აღტაცება დაუმსახურებია... უმსჯელიათ და გაურჩევიათ მისი ხატვის მანერა, ფერთა გამა, კომპოზიციის განაწილება, პერსონაჟები, თუ როგორ გამოხატავდა მისი ეპოქის თბილისს, სხვადასხვა ფენის ხალხს, ისტორიულ პირივნებს. ცალკე გარჩევის საგანი გახდა ცხოველები მის მხატვრობაში. მაგრამ, მე ვეცდები, თქვენი ყურადღება კიდევ ერთ, არცთუ უმნიშვნელო ასპექტზე შევაჩერო.

ნიკალა, როგორც თანამედროვე ქართული სარეკლამო „არტი“-ს ერთ-ერთი ფუძემდებელი.

XIX-ე საუკუნის მიჯნაზე თბილისი, არათუ რეგიონის, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ერთ-ერთი კულტურული ცენტრია. მისი ცხოვრების რითმი პარიზთან, ბერლინთან, მოსკოვთან თუ პეტერბურგთან, ვენასთან, სტამბულთან, თეირანთან გაცხოველებულ ურთიერ თობებში ისახება. თბილისში უხვადაა წარმოდგენილი მსოფლიოში ცნობილი და მონიწავე ფირმების ფილიალები, პავილიონები, მაღაზიები, რასაკვირველია მათი საფირმო ლოგოებიც და სარეკლამო აბრებიც.

თბილისელი, ადგილობრივი, ვაჭრები, მეღუქნეები და მენარ-

მეები ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ და ფეხი აეწყოთ კორიფეებისთვის: Simens, Ford, singer, ძმები ნობელების სანავთობო კორპორაცია და სხვა. იმ დროში ცნობილი ევროპულ თუ აზიური ბრენდებისა და სამენარმეო კომპანიებისთვის.

იმ დროის – ძველის და ახალი ხანის გასაყარს, ქართულ კულტურაში, სრულიად განსაკუთრებულად, ჩნდება ნიკო ფიროსმანაშვილის პიროვნება, მხოლოდ მისთვის



დამახასიათებელი პალიტრის გამო, სივრცე-სიბრტყის გაგებით, პერსპექტივისა თუ უპერსპექტივობის სპეციფიური აღქმით.

1880-1882 წლებში ნიკომ გაიცნო მხატვარი გიგო ზაზიშვილი, რომელსაც აკადემიური განათლება ჰქონდა მიღებული. მათ შორის წარმოქმნილი ზედაპირული ურთიერთობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საერთო ძალისხმევით სამხატვრო სახელოსნო გაეხსნათ. დაკვეთები უმეტესად მცირე მენარმეებიდან მოდიოდა, რომლებიც ძირითადად დუქნებისთვის, სამიკიტნოებისთვის, საწარმოებისთვის, სახელოსნოებისთვის სარეკლამო აბრების დამზადებით შემოიფარგლებოდა. აბრები და





წარწერები ხალხური პრიმიტივიზმისთვის დამახასიათებელი სტილით იქმნებოდა. მედუქნე ბეგო იაქიევისთვის (ბეგლარ სტეფანეს ძე იაქაშვილი) დუქანზე ძროხა დაუხატავს და მინის ჭურჭელით რძეც მიუხატავს. ისეთი რეალური ნახატი გამოსულა, რომ მედუქნეს რძის გაყიდვა გაზრდია. მიუხედავად ამისა შეკვეთები არ იყო სარფიანი, იძულებული გახდნენ სახელოსნო დაეხურათ. მან რამდენიმე სხვა მხატვართანაც სცადა შეამხანაგება, მაგრამ იქაც არაფერი გამოუვიდა. ამ დროისათვის ქალაქში მრავალი სააბრო სახლოსნო იყო გახსნილი, „ახლადგამოჩეკილი“ ნიკალათი ბევრი არავინ ინტერესდებოდა. ძნელი წარმოსადგენია იგი თავს ამ მეაბრეების წევრად მიიჩნევდა თუარა. მის მხატვრობაში პრიმიტიული სტილის არსებობის მიუხედავად, იგი მაინც ინდივიდუალისტ, მარტოხელა მხატვრად რჩებოდა.

მის შემოქმედებაში უხვად იყო აღმოსავლურ-ქართული პირობითობისა და დასავლური რეალიზმის შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობის, მონუმენტურობის და ევროპული დაზღურობის შერწყმა. გაჭირდა ყოფა, ამიტომ იგი თავს ხშირად თბილისელ მიკიტნებთან და მედუქნეებთან აფარებდა. ლუკმა-პურის გული-სათვის თავდაუზოგავად მუშაობდა. ქმნიდა თბილისისათვის დამახასიათებელ აბრებსა და სარეკლამო წარწერებს. მასალად იყენებდა ყვე-

ლაფერს, რაზეც ხელი მიუწვდებოდა: დერმატინს, მუშამბას, მუყაოს, თუნუქის ფურცლებს. ბევრი სარეკლამო აბრა, რომელიც ნიკალას მიერ იყო შესრულებული დაიკარგა და განადგურდა. ჟამთაშვლელობის ცვლილებამ მრავალი დუქნისა და სამიკიტნოს დახურვა გამოიწვია. სარეკლამო აბრებმა სარდაფებსა და ნაგავსაყრელებზე გადაინაცვლეს. მხატვარ თენგიზ მირზაშვილისთვის (ჩუფჩიკა) ისტორიკოს ბაბულია ლომინაძეს ასეთი რამ მოუყოლია, რომ მის ეზოში ცხოვრობენ მედუქნე ალუღიშვილის შთამომავლები. როცა მათი სახლის სახურავი დაზიანებულა იგი შეუკეთებიათ მოხატული თუნუქის ფირფიტით, რომელიც თითქოსდა ფიროსმანის მიერ ყოფილა მოხატული. ოდესღაც იგი დუქანს ამშვემებდა და დუქნის დახურვის შემდეგ დიდხანს გდებულა სარდაფში.

საბედნიეროდ შემორჩენილია ფიროსმანის მიერ შესრულებული რამდენიმე სარეკლამო აბრა. ისევე როგორც, მისი სხვა ნამუშევრები, ეს აბრებიც შესრულების პრიმიტიული მანერით გამოირჩევა. ოდნავ იგრძნობა ევროპული ფორმების სარეკლამო ფორნიშების შესრულების გავლენა.

იმ პერიოდის ქალაქის მოსახ-

ლეობის საშუალო და დაბალი ფენა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. სწორედ ამან განაპირობა აბრებზე, შრიფტისა და სარეკლამო ტექსტების დაუხვეწელობა და მეორე-ხარისხოვნება. საინტერესოა კომპოზიციური გადაწყვეტაც. კომპოზიციები თითქოს დალაგებულია, მაგრამ მაინც დაუხვეწავი და ქაოტურია. აბრებზე ცენტრალურ ადგილს იკავებს სცენა, სადაც ძირითადი აქცენტი გადატანილია ნახატზე - ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე, მარეკლამირებელ ნივთზე ან ნაწარმზე. რაც შეეხება სარეკლამო წარწერას და ტექსტს ისეა შესრულებული, თითქოს ცარიელ ადგილს ავსებს. მიუხედავად ამისა ფიროსმანის მიერ შესრულებული სარეკლამო ფორნიშები ინდივიდუალურობით და მანერულობით, მკვეთრად გამოირჩევა სხვა თბილისელი მეაბრე-მხატვრების ნამუშევრებიდან.

ამოუწურავია ფიროსმანის შემოქმედებითი ტალანტი. იმედია ამით არ შემოიფარგლება ნიკალას გენიალურობის და მრავალფეროვნების განხილვა. კვლავ გამოჩნდება ახალი საკვლევი მასალა მისი უსაზღვრო ნიჭიერების შესასწავლად და შესავსებად.

არქიტექტორ-დიზაინერი დავით კინაველიძე



გაიქეცი ლოლა, გაიქეცი...




ნოემბრის სუსხიანი ამინდმა მოიცვა ქალაქი, გარემო კი საახალწლო განწყობით განიმსჭვალა. თბილ ქურთუკებში გამოწყობილი ხალხი ნელნელა იწყებს გარე ურბანული ადგილების დატოვებას, მე კი იმ ადგილზე მინდა გაიმბოთ სადაც სიცივე მხოლოდ გარემო პირობაა ხოლო ხალხმრავლობა კი მუდმივობაა.

ბერლინი, რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ხიდების სიმრავლით გამოირჩევა და ვენეციასაც კი სჯობნის. დღეს მინდა მის ხმაურიან და მრავლის მნახველ ხიდზე სახელად „ობერბაუმბრუქეზე“ გაიმბოთ, რომელიც მდინარე შპრეეზეა გადებული და ბერლინის ორ ადმინისტრაციულ ნაწილს აღმოსავლეთსა და დასავლეთს აერთიანებს.

ყველაფერი მე-18 საუკუნეში, ერთი უბრალო ხიდით დაიწყო, რომელიც იმდროინდელი ბერლინის კედლის სიმაღლეზე მდებარეობდა, ხიდი 150 მეტრი სიგრძის ხის კონსტრუქციას წარმოადგენდა. მის შუა ნაწილში ბოძებს შორის არსებობდა ვიწრო გასასვლელი, რომელიც გემების გადაადგილებისთვის იყო საჭირო. ხიდზე საბაჟო შემოწმების გავლის მიზნით,

ყველა პირი ვალდებული იყო გადაეხადა ხარკი. ამ მიზეზით ხიდის თანამშრომლები, "ობერბაუმს", ხის დიდი მორით კეტავდნენ, რათა არავის გადაეტანა საქონელი თანხის გადახდის გარეშე. ამგვარად, შესასვლელი დაიხურა მდინარის ზედა ნაწილში და დღევანდელი ხიდის სახელწოდებაც აქიდან მომდინარეობს და ითარგმნება, როგორც „ხის ხიდი ზემოდან“.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ბერლინის რაიონებს შორის საგზაო მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა და გახდა აუცილებელი ახალი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობა. დღევანდელი ორსართულიანი ხიდი არამარტო სამანქანო და საფეხმავლო ფუნქციას ითავსებს არამედ, მას დაემატა მეტროს ხაზი ნომერი 1, დღევანდელი ე. წ. "ვარშაუერის" ქუჩა. მის შორიანხლოს კი აშენდა იმავე სახელწოდების მიწის ზედა მეტრო. რაც შეეხება ხიდის კონსტრუქციასა და გარეგნულ ნიშან-თვისებებს, ის მართლაც შესანიშნავი ქმნილებაა, რკინაბეტონის კონსტრუქცია შემოსილი გამომწვარი აგურის საფარით. შუასაუკუნეების აქცენტები შესამჩნევია აგრეთვე გოთიკურ კოშკებ-





ზე, რომლებიც მწკრივში, ხიდზეა განლაგებული და კარიბჭის იმიტაციას ქმნის.

ხიდი თავის მხრივ გათავაზობთ, უნიკალურ ხედებს მდინარეზე შენობა-ნაგებობებზე, სკულპტურებსა თუ სხვა ღირსშესანიშნაობებზე. ჩრდილო-აღმოსავლეთით შეხვდებით ბერლინის კედლის ნაშთებს „აღმოსავლეთის მხარის გალერეა“ თავისი ფერწერული ტილოებით. როგორც ხედავთ ხიდი საკამოდ დატვირთულია, როგორც ისტორიულად, ასევე ტექნიკურად. თუმცა ეს ყველაფერი არ არის.

ობერბაუმი ბოჰემის სავანეც გახლავთ, – ხართ თქვენ კლუბური ცხოვრების მოყვარული, ხელოვნების მოტრფიალე, გიყვართ ბუნება, თუ ხართ გურმანი, ეს ადგილი ნამდვილად თქვენთვისაა. ბერლინის ისტორიის მნიშვნელოვანი ქმნილება არც კინემატოგრაფისტებს გამორჩენიათ თვალთახედვიდან და ერთ-ერთი მათგანია ტომ ტიკვერი, რომლის ფილმში

„გაიქეცი ლოლა გაიქეცი“ – ერთ-ერთ ლოკაციად სწორედ ეს ხიდია გამოყენებული. ეს მართლაც შესანიშნავი ფილმია, თავის დროის შედეგრი, ინოვაციური ტექნოლოგიებითა და ემოციური ლაიტმოთივებით. მისი კადრები ბერლინის შესანიშნავ მხარეებში გამოგზაურებთ და ბევრსაც ჩაგაფიქრებთ.

ბერლინში მოხვედრისას გირჩევთ ერთხელ მაინც გაირბინოთ ამ ხიდზე და შეიგრძნოთ ბერლინური მემობოხე, ღარიბი, მაგრამ მიმზიდველი სული.

გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი...

სპეციალურად ჟურნალი „სტილისთვის“

*თეკლა ჭითანავა
პოცდამის არქიტექტურის სკოლის,
არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის
ფაკულტეტის სტუდენტი*



RUN LOLA RUN...

In November, the cold weather covered the city. The atmosphere is enriched with New Year's mood. People dressed in warm coats start to leave the outer urban areas, and I want to tell you where the cold is only the condition of the environment and the crowd is the constant.

Berlin has a lot of bridges. Today I want to tell you about the noise and the brilliant bridge named

Oberbaumbrücke, which is located on the river Spree and combines two administrative parts of Berlin with East and West.

This stone bridge was built in 1886 as a replacement for the former two wooden bridges which were also used as toll gates. The name „Oberbaum Bridge“ comes from the fact that a tree trunk was put across one of the bridges to stop charriots


from circulating at night time. The new bridge had a lane for cars, one for train tracks and another one for pedestrians. It is built in a Gothic style with two medieval towers referring to its past as a toll gate. Concrete was used for the arches and pillars whereas the remaining part has a steel reinforcement. The bridge was used as a checkpoint between East and West Germany.



In the second half of the 19th century, the volume of traffic between the regions of Berlin had been significantly increased and it was necessary to build a new highway. Today's two-storied bridge is not only a motor and hiking feature but it has been added to Metro line number 1. Nearby was built on the above-ground subway. As for the bridge's structure and appearance, it is truly an excellent creature, with a reinforced concrete construction with a coiled brick cover. The medieval accents are also noticeable on the Gothic towers that are located in a row, on the bridge, and gateway imitation.

The bridge offers its own unique views. The bridge is loaded down as a historically and technically. But that's not all. The Oberbaum is also bohemian desert. An important creature of history of Berlin not left out of the Cinematography. One of them is Tom Tykwer. He is best known internationally for directing - Run Lola Run. The film is shot on this bridge. His fragments will make you look great in Berlin and you will think many things. If you get into Berlin, I recommend at least once you run this bridge, Because you will feel the Berlin attractive soul.

Run Lola Run...



Specially for the Style Magazine
TEKLA CHITANAVA
Student of Faculty of
Architecture and Urban Planning of
Potsdam School of Architecture





მდებარეობა: დაბა წყნეთი

ავტორი: Noastudio -მულტისციპლინური კომპანია რომელიც არქიტექტურულ, ურბანულ და დიზაინერულ პროექტებს 2005 წლიდან ახორციელებს. კომპანიის დამფუძნებლები: არქიტექტორები - მიკა ყრუაშვილი, სეზარ რიბერიო და ქეთუნა ყრუაშვილი



საცხოვრებელი სახლის მოცულობითი კომპოზიცია მასისა და სივრცის ურთიერთობით ხასიათდება. ფორმანარმომქმნელ საწყისს გახსნილი, თვითმყოფადი ცოცხალი მასა წარმოადგენს. სივრცე კი კომპოზიციურად ექვემდებარება მას. საკმაოდ რელიეფურ მინის ნაკვეთზე სახლიც და ეზოც მეორე სართულის დონეზე განთავსდა, ამიტომ მოცულობა აღიქმება, როგორც ერთსართულიანი შენობა გახსნილი ხედით გარე სივრცეზე.

ავტორები ფორმების პლასტიკურ სახესხვაობას, ადამიანისათვის განსაზღვრულ, ემოციურად დატვირთულ გარემოს შექმნას ანიჭებს უპირატესობას.





ერთიანი მოცულობისა და გარე სივრცის ურთიერთქმედების სპეციფიკის ღრმა წვდომა კომპოზიციური პალიტრის სიმდიდრის გახსნისა და გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ამ სინქრონში თანამედროვე არქიტექტურული დეკორის ყოველი ფრაგმენტი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ერთიანი სივრცის განსაკუთრებული ატმოსფერო სასიამოვნო ურთიერთობებისათვის განგვანყოფს.

საცხოვრებელი სახლის არქიტექტონიკა პლასტიკურად ვითარდება. ყოველი ამოცანა კომპოზიციური ხერხითაა გადაწყვეტილი და კომპოზიციური პრინციპის შენარჩუნებით მოცულობის სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. სახურავის საფარის მის დონეზე არსებული ეზოს ბალახს ერწყმის. რთულია დაინახო საზღვარი ნაგებობასა და ბუნებას შორის. არაორდინალური არქიტექტურული ნიუანსებით შექმნილ ექსტერიერს, ცალკეული, განსაკუთრებული ხიზლის მატარებელ მონაკვეთთა ერთობლიობა ქმნის. საინტერესო სახლი გამოვიდა.







LIVING ENVIRONMENT



Location: The region of Tskneti

Author: NOAStudio - A multi-disciplinary architectural firm providing professional services in architecture, master planning, urban design, interior design and project management. Founding date – 2005.

Founders of NOAStudio – Architects: Mika Kruashvili, César Ribeiro, Ketuna Kruashvili

Sculptural quality and symbolism of forms created by designer authors stand as a sufficient explanation to their creative conception.

The existing surroundings and architectural volumes get caught into the play of authors imagination to result in a unique background setting for the house.

The house and yard are on the second floor level, pretty On the land of relief, That's why the volume is perceived as one-storey building with open view the yard.

Volumetric composition of the house is based on peculiar interaction of environment and volume. The designers concentrates his attention on plastic diversity of forms and interrelation of outer house yard and interior spaces as key tools in forming an environment with optimal emotional coloring. The cover of the roof is blended with the herb of the yard at its level. It's hard to see the boundary between building and nature. Architectonics of volume represents a combination of modern architectural decor motives, defying momentary effects and forming an atmosphere of refined elegance.

The authors used an original system of compositional tools to diversify structure of the building and highlight originality of the exterior. An interesting house came out.




ტყე და ყვავილები

ავტორი: დიზაინერი ნინო ჯღენტო



თბილისში, ამალღების ქუჩაზე მდებარე პატარა სასტუმროს ორი ნომრის - შიდა სივრცე დიზაინერის ნინო ჯღენტის იდეით განხორციელდა. ავტორმა გულდასმით შემუშავებული თემატური სცენარით შექმნა შთამბეჭდავი ექსპოზიციები - „ტყე“ და „ყვავილები“. აქ დიზაინი, „დეკორაცია“ - ბუნების ანარეკლია. საინტერესო საგნების, აქსესუარების თბილ ტონალობათა რიალში, ყოველივეს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, ყოველივეს წამყვანი როლი აკისრია. ფერით, ფორმითა და „ლანდშაფტური“ ინფორმაციით დატვირთული არქიტექტონიკა ჰარმონიულადაა შეწყობილი პატარა სამყაროს სივრცით გადანყვეტასთან, რომელშიც დიზაინერულ-მხატვრული ავანგარდი და ინტელექტუალური აურა იკვეთება.

უზადო დიზაინი გულისხმობს საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახეების შექმნას, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი და ვლინდება ავტორის ინდივიდუალურობა.









FOREST AND FLOWERS

These are two rooms small hotel in Tbilisi at Amagleba Street. Its design – the interior a belongs to designer Nino Jgenti. The author spent a great deal of effort to develop a thematic scenario - „Forest“ and „Flowers“, which resulted in an impressive exposition. Design, „decoration“ here is a reflection of nature. A variety of attractive items, accessories and „Landscape“ information in the rooms, harmoniously match the spatial solution of this small world, saturated with the aura of artistic and intellectual underground.









სასტუმრო ზეგ

მდებარეობა: თბილისი, კოტე აფხაზის ქუჩა

ავტორები: ლუკა ჩაგანავა და ნინო ჭანტურია

სასტუმრო „ზეგ“-ის (4*-იანი სასტუმრო, 27 ნომ-რით) ინტერიერის დიზაინი არაორდინალური და კომ-ფორტულია. სივრცის ინდივიდუალურობას განსაზღ-ვრავს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები - აქ, მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუ-ბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. თავისუფალ, ღია სივრცეში შესაბამისადაა შერჩეული ავეჯი, აქსესუარები, დეკორატიული ელემენტები. ინტერიერის სტილისტური გადაწყვეტისას, ერთ-ერ-თი მნიშვნელოვანი ფაქტორი ფერია. მისი გრადა-ცია სიმყუდროვეს განაპირობებს, ნებისმიერ საგანს ოპტიმალურ ფონს აძლევს და მის მოხაზულობას აკონკრეტებს. საცხოვრებლის ხასიათი განათების




საშუალებითაც ფორმირდება. ბუნებრივი და ხელოვნური განათების შერწყმით სხვადასხვა „მოცულობები“ იქმნება და სივრცის კომპოზიციური ნიუანსები წინა პლანზეა წამოწეული. აქ ყურადღებას თითოეული დეტალი იპყრობს. ინტერიერის შემადგენელი ყოველი ნაწილი ინდივიდუალური და თავისთავად ეფექტურია. სხვადასხვა რაკურსში განხილვისას, მათი ლავირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საგანთა უტილიტარულ დანიშნულებებს აღემატება. სასტუმრო „ზეგ“ - არაჩვეულებრივი გარემო პარტნიორობისთვის და თქვენი სტუმრების მასპინძლობისთვის.

ZEG
HOTEL



ზეგ
LJUBJAN





ZEG HOTEL

Location: Kote Abkhazi (Leselidze) Street, Tbilisi,
Authors: Luka Chaganava, Nino Chanturia

Design of the interior of ZEG Hotel (4* hotel, with 27 rooms) is unordinary and comfortable. Originality of the public space is highlighted by highly individual features - unexpected design touches, making the environment more uninhibited and comfortable, matching furniture, accessories and decorative articles.

Most important elements in the stylistic solution of the interior are color and lighting. Their gradations help define the character of interior, provide an efficient background and highlight the shapes of any object, subtly bringing to the fore compositional peculiarities of the space.

Every part of the interior is original and attractive. When viewed from different angles, the components of the design gain special importance and exceed their utilitarian meaning.

ZEG Hotel - Unusual environment for partnership and hosting your guests.



გასართობი სივრცე

ავტორი: არქიტექტორ-დიზაინერი
ზურაბ დვალიშვილი
მდებარეობა: თბილისი, უნივერსიტეტის ქ.
„ეი-ბი-სი ლენდი“
„დე ფლორი“ - ლაუნჯ-ბარი



პროექტის მოკლე აღწერა:

მოცემული პროექტი განთავსებულია 8 სართულიან შენობაში, რომელიც დაპროექტდა და აშენდა სპეციალურად გასართობი სივრცისთვის.

I სართულზე განთავსებულია ჰოლი, ადმინისტრატორის ოფისი და სამზარეულო.

II სართული წარმოადგენს ყოველდღიურ ბავშვთა გასართობ სივრცეს კაფეტერიით.

III სართულზეა დაბადების დღის ცენტრი მცირე ასაკის ბავშვებისთვის, კაფეტერიით და მშობელთა სივრცით.

IV სართული მოიცავს დაბადების დღის ცენტრს სკოლის ასაკის ბავშვებისთვის, კაფეტერიით.

V სართულზე განთავსებულია კინოთეატრი, რომლის სცენაც გათვლილია ასევე საბავშვო (და არა მხოლოდ) წარმოდგენებისთვის, სპექტაკლებისთვის. სართულზე ფუნქციონირებს კაფეტერია.





VI სართულზე განთავსებულია კინოთეატრის ტექნიკური ოთახი და ოფისები.

VII სართულზეა ლაუნჯ ბარი „დე ფლორი“ (De Flore) ტერასით.

VIII სართული - ოფისი; კაფე-ტერასა

მოცემულ სივრცეში თანამედროვე დიზაინერული ფორმები შორს სცდება დამკვიდრებულ სტილისტურ ჩარჩოებს - მათი მუდმივი სახეცვლა, „კომუნიკაბელურობა“ და გამჭვირვალობა, ინტერიერს ენერგიითა და ემოციებით აღავსებს. საერთო სარგებლობის შიდა სივრცეები ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. ავტორის დიზაინი გამოირჩევა მკვეთრი ხელნერით, სივრცე იზრდება უნიკალური კონფიგურაციის წყალობით წარმოქმნილი ფრაგმენტების ტიპოლოგიათა განუმეორებლობითა და ავტონომიურობით. ინტერიერის თოთოეული ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, არაორდინალური დეკორაცია და დიზაინერული კოლაჟია. ეს ეფექტი, მას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინდივიდუალურობას სძენს. მისი მონაკვეთების, ცალკეული დეკორატიული ელემენტების და აქსესუარების უცხო სინქრონი, ბუნებრივი და ხელოვნური განათების სრულად ათვისებისა და სივრცეებში მაქსიმალურად მიმოზნევის საშუალებას იძლევა. შიდა სივრცე გახსნილი და ნათელია. მასში გართობისა და დასვენებისთვის იდეალური ატმოსფერო ისადაგურებს.



ENTERTAINMENT SPACE

ABC Land

De Flore Lounge bar

Author: Architect-Designer Zurab Dvalishvili

Location: Tbilisi, University Street

Project Description:

This project is located in a 8-storey building that was designed and built for specially entertaining space.

On the first floor there is hall, administrator's office and kitchen.

On the second floor represents the entertainment space of children for everyday with a cafeteria.

On the third floor is the birthday center for small children, cafeteria and parental spaces.

On the fourth floor includes a birthday center for children of school age, cafeteria.

On the fifth floor there is a cinema, which is designed for performance of children (not just). In The floor is functioning cafeteria.

On the VI floor there is a technical room and offices of the cinema.

On the seventh floor there is a lounge bar „De Flore“, terrace.

On the eighth floor - office; Cafe-terrace.

Zurab Dvalishvili's design is bold and original, expanding the limited space due to the autonomous topology of originally configured floor levels. Each horizontal and vertical plane of the interior is an ingenious decoration, a design collage. Individual quality of the interior is further highlighted by unusual harmony of its constituent parts, decorative elements and accessories, efficient application of daylight and artificial lighting, integral design composition, soft transitions of colors and dialogues of lines and figures.





სივრცის მოდულური კომპოზიცია



ნინო არევაძე ინტერიერისა და ავეჯის დიზაინერია. დაამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტი არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის კურსი, ასევე ინტერიერის დეკორირების კურსი ნიუ იორკში. ორი წელი ამერიკაში ცხოვრობდა და სწავლობდა. 2013 წლიდან ცხოვრობს თბილისში და წარმატებით მოღვაწეობს ინტერიერის დიზაინის სფეროში. დღეს განსაკუთრებული ინტერესით მუშაობს ავეჯის დიზაინის მიმართულებით.

დიზაინერ ნინო არევაძის პროექტით შექმნილი, საცხოვრებელი ინტერიერი თანამედროვე ესთეტიკითაა გაჯერებული. მასში მკვეთრადაა გამოხატული სტილური დომინანტი. თავისუფალი გეგმარება და ფორმათა გრაფიკა ესთეტიკასთანაა შერწყმული. გამოყენებული მასალის ფაქტურა და ფერი, თავისუფალი მოცულობების და დეკორის თვალშისაცემი ესთეტიზმი ნათლად წარმოაჩენს ინტერიერის თვითმყოფადობას, ავტორის პროფესიონალიზმს. საცხოვრებელი სივრცის მოდულური კომპოზიცია - არქიტექტონიკური ელემენტების



პროპორციები ფუნქციურ-მხატვრული ხასიათის მატარებელია და ინტერიერის თვითმყოფადობას განსაზღვრავს. საცხოვრებელი სივრცე, ყოველ მოცემულ შემთხვევაში, თავისი „ხასიათით“, იდენტურ მოპყრობას მოითხოვს. დეკორატიული დეტალები ლაკონური ფერიითი კონტრასტებითაა კომპენსირებული, რაც დიზაინერის დახვეწილ გემოვნებას დეკლარირებს. საცხოვრებელში ფრაგმენტების საერთო ტონალობების, ფორმათა გრაფიკულობის თანაარსებობა მშვიდ, დადებით განწყობას ქმნის. მთლიანობაში, ინტერიერი თავისუფალი და გამომგონებლურობას აბსოლუტურად მოკლებულია, განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით აღიქმება და სრულად შეესაბამება მობინადრეთა მოთხოვნებს, გემოვნებას, ცხოვრების ესთეტიკას.





THE MODULAR COMPOSITION OF SPACE

Nino Arevadze is an interior designer furniture designer. Graduated from the University of California, architecture and interior design, as well as interior decorating course in New York. Since 2013 she has been living in Tbilisi and successfully works in interior design. Today it works with special interest in furniture design.



Residential interiors designed by designer Nino Arevadze is saturated with modern aesthetics. It has a distinctive stylistic dominant. The planning and graphic solution of forms is integrated with aesthetic beauty. Textures and colors of finishing materials, the apparent aestheticism of the decor serve to highlight the originality of interiors design, as well as professionalism of its author. The modular composition of residential spaces and proportions of architectural elements combine creativity with functionality and increase originality of interior. A decorative elements is compensated by eloquent color contrasts, which manifest the designer. The residential interiors are organically integrated at uniform space, enriching the site with special emotional charge and fully conforming to its dwellers' requirements, taste and lifestyle aesthetics.





ნინო არევაძის ავეჯი, ინტერიერ-ექსტერიერის ნივთები და აქსესუარების დიზაინი ყოველთვის ექსკლუზიურია და სტილის თუ მასალის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. არსებული დეტალებისგან შექმნილი კოლაჟები ნინოს დიზაინში, უჩვეულო, საინტერესო და ფუნქციონალური ხდება ინტერიერსა თუ ექსტერიერში.

ნინოს ფურნიტურაში კიდევ ერთი, მისი ვიზუალური „მოდრობის“ - ტრანსფორმიზმის იდეა განხორციელებული, რასაც ხელოვანის მიერ შემუშავებული ეფექტებისა და მოულოდნელი დიზაინერული გადანყვეტები ილუსტრირებს.

Nino Arevadze's furniture, interior-exterior items and accessories design is always exclusive and distinguished with variety and style. Another idea of Nino Arevadze, realized in the Furniture, is its visual mobility, illustrated by „stunt effects“ and whole cascades of unexpected design solutions.

www.ninodesign.ge





თბილისის საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა



17-19 მაისი

უკვე მეორე წელია, „ექსპო ჯორჯიას“ ორგანიზებით და თბილისის მერიის მხარდაჭერით, ჩატარდა თბილისის საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა. ეს ქალაქისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ღონისძიებაა. წელს ხელოვნების ბაზრობაზე წარმოდგენილია 16 ქვეყნის 30-მდე გალერეა და 35-მდე ხელოვანი მონაწილეობს. მონაწილე ქვეყნებია: საქართველო, საფრანგეთი, იტალია, ბულგარეთი, სერბეთი, აზერბაიჯანი, შვეიცარია, ავსტრია, ჩინეთი, აშშ, კუბა, ბელგია, გერმანია, ესპანეთი, პორტუგალია, ლიეტუვა.

ასევე, თანამედროვე მხატვრებს და არტისტებს ინდივიდუალურად აქვთ წარმოდგენილი თავიანთი ნამუ-

შევრები. ეს მნიშვნელოვანი პროცესია იმისთვის, რომ ქართველ მხატვრებს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობა მიეცეს

TAF არის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობა, რომელიც მეტწილად ფოკუსირებულია შავ, კასპიისა და ბალტიის ზღვების ქვეყნებზე, მათ მდიდარ სახელოვნებო სცენებზე, რომლებიც ხელოვნების ბაზრობებზე ჯერ არ წარდგენილან.

ბაია გალერეამ თბილისის ხელოვნების ბაზრობაზე წარმოადგინა გალერეის მხატვრები: მერაბ აბრამიშვილი, ნინო კო მორბედაძე, გურანდა ქლიბაძე, ზაზა ბერძენიშვილი. ნამუშევრების უმეტესობა პირველად იქნა წარმოდგენილი.




TBILISI ART MARKET - TAF

May 17 – 19

With the support of Tbilisi City Hall, Tbilisi International Contemporary Art Fair held for the second year. It is one of the most important cultural events for the entire city. Up to 30 galleries and 35 artists from 16 different countries participated at the event. Participating countries are - Georgia, France, Italy, Bulgaria, Serbia, Azerbaijan, Switzerland, Austria, China, United States, Cuba, Belgium, Germany, Spain, Portugal, and Lithuania, while modern painters and artists has individually presented their work. This is an important process for Georgian artists to gain the opportunity to work in the international arena.

At TAF presented four leading artists of Baia Gallery: Merab Abramishvili, Niniko Morbedadze, Guranda Klbadze, Zaza Berdzenishvili. Most of these artworks will be presented for the first time.





გზავნილები ბავშვობიდან
ECHOES OF CHILDHOOD

„სილქ ფაქტორ სტუდიოს“ აბრეშუმის გალერეაში“ 5 აპრილს, გაიხსნა ნინო ფერაძის ნამუშევრების გამოფენა - , გზავნილები ბავშვობიდან“
In the Silk Factory Studio - „Silk Gallery“, on April 5, 2019 was opened Exhibition of Nino Peradze's works - „Echoes of Childhood“



თვითგამოვლენის ახალი თავისუფლება ფორმის დინამიკაში, ემციურობაში ვლინდება, იგი ვიბრირებს, ფეთქავს. ნახატის პლასტიკა დინამიკური სიუჟეტის, რელიეფური ხაზების და მსუბუქი, დაუდევარი ფერწერის უჩვეულო შერწყმის სიახლით განცვიფრებას იწვევს.

ნინო ფერაძის ნამუშევრები, რომლებიც ბოლო ნახევარი წლის განმავლობაშია შექმნილი, „სილქ ფაქტორ სტუდიოს“ აბრეშუმის გალერეაში იქნა წარმოდგენილი. ექსპოზიციას აკრილით შესრულებული სამოცდაათამდე ტილო კმნიდა მრავალფეროვანი თემატიკის ამოსავალი წერტილი კი მხატვრის მესსიერებაში დარჩენილი ბავშვობის ემოციები იყო:

„ბინა გამოვიცვალე და გადაბარგებისას ნავანყდი ძველ ნივთებს, ფოტოალბომებს და უამრავმა მოგონებამ თუ ამბავმა ამოცურა წარსულიდან. დაბრუნდა ბავშვობისდროინდელი შეგრძნებები, რომელიც მიძინებულნი იყო - უმეტესად კი ყველაფერი ის, რაც „პირველად“ განვიცაადე, პირველად, რომ დავინახე და მივხვდი - მომწონს ... ქალაქი, რომელშიც ცხოვრობ, როდესაც აღიქვავ, როგორი ლამაზი და ფერადია; ბებია, რომ გვიამბობს ალდგომის შესახებ და შენ პირველად დაინახავ ანგე-

ლოზს, წარმოიდგენ როგორები არიან მცველი ანგელოზები, რომლებიც ყველაფერ კეთილს და კარგს იცავენ, ყოველთვის. გახსენდება ცირკში პირველად მისვლისას, როგორ დაჰყვება ჯამბაზს შუქი ულამაზესს თაიგულებს, რომ ისვრის ჰაერში, ზაფხულის დღეები კოჯორში, ყვავილებით სავსე მინდვრები, სკოლაში ნასვლის პირველი დღე... აი, ამ შეგრძნებების დაფიქსირება მინდოდა ჩემთვისაც და სხვებისთვისაც. გამოფენის სახელწოდებაც აქედან გაჩნდა“ - გვიამბო ნინო ფერაძემ.





ნინო ფერაძის შემოქმედებითი სფერო მრავალფეროვანია - გრაფიკა, ფერწერა, ბეჭდური გრაფიკა, წიგნის დიზაინი. არის ანიმაციური ფილმის დამდგმელი მხატვარი. მან 1975-1981წწ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრაფიკული ხელოვნების ფაკულტეტი. 1984 წელს კი ანიმაციური კინოს სარეჟისორო კურსები მოსკოვში (ВГИК). მხატვრის შემოქმედებითი მოღვაწეობა მდიდარი, დატვირთული და წარმატებულია. ნინო, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან - 1980-1987წწ.-ში - მოღვაწეობს კინოსტუდია - „ქართული ფილმში“ დამდგმელ მხატვრად. არის 10 ანიმაციური ფილმის დამდგმელი მხატვარი. 1984-1986 წწ. იგი იწყებს გამოფენებში მონაწილეობის მიღებას, ამავე დროს არის რამდენიმე სატელევიზიო დადგმის დამდგმელი მხატვარი. 1984წ. მიენიჭა პრიზი ანიმაციური ფილმის „ზორტრეტი“-ს მხატვრობისათვის, საერთაშორისო ფესტივალზე კიევში. 1986-1988წწ. იყო სსრკ მხატვართა კავშირის საკავშირო სტიპენდიანტი. 1987-1989წწ. ხელმძღვანელობდა გრაფიკულ სახელოსნოს - „მხატვრის სახლი“, თბილისში. 1990-იან წლებში მხატვარს მრავალი პრიზი მიენიჭა საერთაშორისო ბიენალეებში: კრაკოვში, ტალინში, კალინინგრადში; ასევე, საქართველოს მხატვართა კავშირის სპეციალური პრიზი - „წლის საუკეთესო მხატვარი გრაფიკულ ხელოვნებაში“.

ნინო ფერაძე მრავალი საერთაშორისო გამოფენის, ვორჰოპის და არტპლენერის მონაწილეა. 2002-2003 წწ.-ში ასწავლიდა ხატვას და ფერწერას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 2007-2010 წწ.-ში კი ხელმძღვანელობდა გრაფიკული დიზაინის დეპარტამენტს „IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი“ - თბილისში.

ხელოვანი 2013 წლიდან დღემდე თანამშრომლობს სტუდია „Tore“- სთან (იტალია). ამ სტუდიის ეგიდით ხორციელდება პროექტები წიგნის გრაფიკისა და ანიმაციური ფილმების სფეროში.

ნინო ფერაძის ნამუშევრები შექმნილია: ალმოსავლური ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვში; საქართველოს ხელოვნების მუზეუმში; ნორილსკის ხელოვნების მუზეუმში; ასევე მრავალ კერძო კოლექციებში: საქართველოში, ესპანეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, აშშ-ში, თურქეთში, პოლონეთში, ნორვეგიაში, უნგრეთში, საბერძნეთში, რუსეთში, ესტონეთში და იაპონიაში.

მხატვარს 1986 წლიდან დღემდე საქართველოში და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში 24 პერსონალური გამოფენა აქვს ჩატარებული.